<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

მუხლი 29. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაცია

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იმ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.“.

3. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

1^2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება მიანიჭოს სხვა იურიდიულ პირს.“.

4. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ. ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2

1. დასაშვებია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორების მიერ 2025 წლის 15 აგვისტოსთვის მათ მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მარაგების სასყიდლით (შესყიდვის, საქართველოში იმპორტისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისას გადახდილ თანხას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, დამატებული 10 პროცენტი) გადაცემა იმ იურიდიული პირისთვის, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, აგრეთვე ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები 2025 წლის 15 აგვისტომდე დაწყებული/მიმდინარე ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, 2029 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვის მიღების ვალდებულებისგან.

4. 2025 წლის 1 ოქტომბრამდე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება აქვს იმ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) წარუდგენს ამ კანონის გამოქვეყნების თარიღამდე დადებულ შესაბამისი ნარკოტიკული საშუალების/ფსიქოტროპული ნივთიერების შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

5. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იმპორტირებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საბითუმო რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ სააგენტოს თანხმობით. თანხმობის გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

მუხლი 3

საქართველოს მთავრობამ/საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა:

ა) 2025 წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

გ) 2025 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 4

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 15 აგვისტოდან;

ბ) პირველი და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან;

ა) მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ ყველაშვილი*